

# ნინო ჩხოზაძე: "ტყეების ჭრას სვანეთში კატასტროფური შედეგები მოაქვს"



გარემოს დაცვის საკითხებში ექსპერტის ნინო ჩხოზაძის შეფასებით, ტყეების გაჩეხვას სვანეთში კატასტროფური შედეგები მოაქვს, შესაბამისად, მთიან რეგიონებში ხე-ტყის მსგავსი ჭრა მაქსიმალურად უნდა შემცირდეს.

ნინო ჩხოზაძე ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებით სვანეთში გუშინ განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა.

*„მე პირადად არ ვარ მომხრე ძარღვანი უწყებებით სიტუაციის მოგვარებისა. მიმაჩნია, რომ ცოტა გადავაჭარბეთ კიდევ და შეიძლება, დიარღვით გაგვერკვია მოსახლეობასთან საკითხები, რაც ხე-ტყესთან არის დაკავშირებული. ზოგადად კი, სვანეთში შექმნილია საკმაოდ რთული სიტუაცია, რადგან ჭუბურისა და ნენსკრას საკითხთან მიმართებაში, წყლის ადიდების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ნამდვირად იყო გაჩეხილი ხეები“, – განაცხადა ჩხოზაძემ.*

მისი თქმით, დასახლებულ პუნქტში წყლის შესვლა ნიშნავდა იმას, რომ ტყეებმა, რომელიც ნაპირებზე გაჩეხილი იყო, წყლის ნაკადი არ შეაჩერა.

*„ეს რომ საღი ხეები ყოფილიყო, პროცესს შეანერგებდა და ასეთი ტრაგედიები, რაც ჭუბურში დატრიალდა, არ მოხდებოდა. ტყეების ჭრას სვანეთში კატასტროფური შედეგები მოაქვს. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მაქსიმალურად უნდა შენეიდეს და შემცირდეს ტყის*

*ჭრა ასეთ მთიან რეგიონებში“, – განაცხადა ჩხობაძემ.*

როგორც ექსპერტი აცხადებს, მისი ინფორმაციით, სვანეთში ძალიან ბევრს რეგარურად ჰქონდა მოპოვებული ხე-ტყის დამზადების რიცენზია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გადაიხედოს ბოლო 2-3 წლის განმავლობაში სვანეთის მოსახლეობაზე გაცემული ყველა ნებართვა, სად და ვის მიეცა ხის მოჭრის უფლება.



*„გრძედვადიანი რიცენზიების გაცემის არგუმენტი ის იყო, რომ ხეებს მოუვრიდნენ და ტყეებს დარგავდნენ. თუ სადმე ნახეთ, გრძედვადიანი რიცენზიანტის მიერ დარგული ხე, აღფრთოვანებული ვიქნები. მე პირადად, ასეთი რამ ჯერ არც მინახავს და არც გამიგია. ჩვენს მეტყვევებს ყოველთვის ჰქონდათ იმედი, რომ თვითაღდგენა ტყეებს საკმაოდ კარგი აქვთ, მაგრამ როცა მასიური, პირწმინდა ჭრა მიდის, იქ რამის აღდგენა შეუძლებელია“, – განაცხადა ექსპერტმა.*

მისი თქმით, მთაში ხეებს უფრო ნაკლები აღმოცენების უნარი აქვთ, ვიდრე ბარში, ამიტომ ექსპერტი აცხადებს, რომ მთაში პირწმინდა ჭრა საერთოდ აკრძალული უნდა იყოს.

*„ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ ჩვენ განვიხილავთ ტყეებს კომერციული დანიშნულების მხრივ. ეს არ არის კომერციული დანიშნულების ტყე, ჩვენ რესურსის გაყიდვით ვერაფერს მივიღებთ, თუ არ დავანგრევთ. ჩვენი ტყეებისთვის დამახასიათებელი და*

*პირველადი დაცვითი ფუნქციაა, ის არის წყარმარეგულირებელი, წყარშემკრები, რეაღურად ნაპირების გამაგრების საშუადება, მეწყერების სანინაალმდგო ღონისძიებების საშუადება, ღვარცოფების წინააღმდეგ ბრძოლის საშუადება და განსაკუთრებით წყარდილობების წინააღმდეგ ბრძოლის საშუადება“, – განაცხადა ნინო ჩხობაძემ.*

მისი თქმით, აუცილებელია ტყე იქნეს მიღებული, როგორც დაცვითი ფუნქციის მატარებელი და არა, როგორც კომერციული რესურსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, განსაკუთრებით კრიმატის ცვლილებების პერიოდში, სტიქიური მოვრენები მეტად გაძვირდება.

1tv.ge